1973/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს

# უწყებანი

№ 5 (388)

1973 წლის მაისი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 5 (388) მაისი 1973 წელი

## შინაარსი

დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების მე-9 მუხლის გამოყენების წესის შესახებ.

განყოფილება პირველი

70. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მარნეულის რაიონის ალგეთის № 144 საარჩევნო ოლქში გასული დეპუტატის ნაცვლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნების დანიშვნის შესახებ.

71. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

72. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებების და ცვლილებების შეტანის შესახებ.

73. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა 1000 ვოლტამდე ძაბვის ელექტროქსელების დაზიანებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ.

74. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 471-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ.

75. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ.

76. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

კ. მარქსის ს. ს. საქ. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

77. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს სსრ 1938 წლის 10 ივლისის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.

78. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების წევრებისათვის პრეზიდიუმის სხდომებსა და კომისიების მუშაობაში მონაწილეობის მიღებისათვის დღიურების გაცემის შესახბე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1938 წლის 16 ნოემბრის დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე.

79. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი სბაჭოს სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის მოხსენებითი ბარათის შესახებ.

80. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გორის რაიონის ტყვიავის და მეჯვრისხევის სასოფლო საბჭოების აღმასკომებთან არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების შექმნის შესახებ.

81. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესებისა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

## განყოფილება მეორე

82. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

83. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

84. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

85. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის გ. ვ. გეგეჭკორის საქართვესლოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

86. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. კ. ყიფიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

87. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ვ. ჩაგელიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

88. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ზ. ჩხეიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

89. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ა. ალიზადეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

90. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ს. ზარასჰაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

91. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. მ. მგელიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

92. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. მ. მელქაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

93. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. თ. ხაბულიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგეილთ დაჯილდოების შესახებ.

94. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

95. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ა. სოლომონის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

96. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ზ. შავიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

97. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქათრველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

98. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ა. სლოვინსკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში
საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების მე-9 მუხლის გამოყენების წესის შესახებ

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების მე-9 მუხლის გამოყენების შესახებ შეკითხვებთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

განემარტოთ, რომ საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად, რომლებშიც მონაწილეობს სსრ კავშირი, მიწის ნაკვეთების დროებით სარგებლობაში გადაცემის შემთხვევაში, დროებითი სარგებლობის ვადები დადგინდება ამ შეთანხმებების საფუძველზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1973 წლის 20 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 70 მარნეულის რაიონის ალგეთის № 144 საარჩევნო ოლქში გასული დეპუტატის ნაცვლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნების დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 99-ე მუხლის შესაბამისად დაინიშნოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არჩევნები, ნაცვლად გასული დეპუტატისა მარნეულის რაიონის ალგეთის № 144 საარჩევნო ოლქში კვირას, 1973 წლის 17 ივნისს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 15 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 71 საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნას საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია 1973 წლის 27 ივნისს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 29 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 72 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში დამატებების და ცვლილებების შეტანის შესახებ

„საჰაერო ხომალდის გატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 3 იანვრის და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის კანონმდებლობის საფუძვლებში დამატებათა შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 9 მარტის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში შემდეგი დამატებანი და ცვლილებანი:

ა) დაემატოს კოდექსს $242^{2}$ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

**„მუხლი $242^{2}$.** საჰაერო ხომალდის გატაცება

დედამიწაზე ან ფრენის დროს საჰაერო ხომალდის გატაცება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე.

დედამიწაზე ან ფრენის დროს საჰაერო ხომალდის გატაცება, ან ასეთი ხომალდის ხელში ჩაგდება გატაცების მიზნით, თუ გამოყენებულია ძალადობა ან მუქარა, ანდა რასაც მოჰყვა საჰაერო ხომალდის ავარია ან სხვა მძიმე შედეგი,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული ქმედობანი, თუ მათ მოჰყვა ადამიანების დაღუპვა ან სხეულის მძიმე დაზიანება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით, ან ისჯება სიკვდილით, ქონების კონფისკაციით“;

ბ) კოდექსის მე-$8^{1}$ მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების: „ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცება (მუხლი 240)“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „საჰაერო ხომალდის გატაცება (მუხლი $242^{2}$)“;

გ) კოდექსის 34-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქონების კონფისკაცია შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის კანონმდებლობით, ხოლო ანგარებითი დანაშაულისათვის აგრეთვე იმ შემთხვევებშიც, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილით“;

დ) კოდექსის 44-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველ პუნქტს სიტყვების: „საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაკის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფისათვის (მუხლი $209^{1}$)“ შემდეგ და პირველი ნაწილის მეორე პუნქტს სიტყვების: „ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალების ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცებისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (240-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები)“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „საჰაერო ხომალდის გატაცებისათვის (მუხლი $242^{2}$)“;

ე) კოდექსის $54^{1}$ მუხლის მესამე პუნქტს სიტყვების: „ყაჩაღური თავდასხმით ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებად ნივთიერებათა გატაცებისათვის (240-ე მუხლის მესამე ნაწილი)“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „საჰაერო ხომალდის გატაცებისათვის (მუხლი $242^{2}$)“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) კოდექსის 55-ე მუხლის მეექვსე ნაწილის მეორე პუნქტს სიტყვების: „ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალების ან ფეთქებადი ნივთიერებების გატაცებისათვის ყაჩაღური თავდასხმის გზით (240-ე მუხლის მესამე ნაწილი)“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „საჰაერო ხომალდის გატაცებისათვის (მუხლი $242^2$)“;

ზ) კოდექსის $205^1$ე მუხლს პირველი ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„ამ კოდექსის $242^2$ მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა წინასწარ შეპირების გარეშე დაფარვა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე“.

205-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩაითვალოს მესამე ნაწილად;

თ) კოდექსის 206-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„განუცხადებლობა იმისა, რომ ნამდვილად მზადდება ან ჩადენილია დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის $242^2$ მუხლით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე“.

2. დაწესდეს, რომ იმ პირთა მიმართ, რომლებსაც ბრალი ედებათ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის $242^2$ მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენაში, დაპატიმრება, როგორც აღკვეთის ღონისძიება, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ დანაშაულის საშიშროების მოტივით.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 88-ე მუხლის მეორე ნაწილს ციფრების „240-ე II და III ნაწ.“ შემდეგ დაემატოს ციფრი „$242^2$.“

3. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის $242^2$ მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმის წინასწარ გამოძიებას აწარმოებენ პროკურატურის ორგანოების გამომძიებლები.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 126-ე მუხლის მესამე ნაწილს ციფრის „236“-ის შემდეგ დაემატოს ციფრი „$242^2$“.

4. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის $242^2$ მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეები ექვემდებარება საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებს და ავტონომიური ოლქის სასამართლოს.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლს ციფრის „$209^1$“ შემდეგ დაემატოს ციფრი „$242^2$“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 29 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 73 1000 ვოლტამდე ძაბვის ელექტროქსელების დაზიანებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ

1000 ვოლტამდე ძაბვის ელექტროქსელების დაცვის წესების მოთხოვნათა დარღვევებთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ 1000 ვოლტამდე ძაბვის ელექტროქსელების (საჰაერო, მიწისქვეშა და წყალქვეშა ელექტროგადამცემი ხაზები, შემყვანი და განმანაწილებელი მოწყობილობები) დაზიანებისათვის, თუ ამას მოჰყვა მომხმარებელთათვის ელექტროენერგიის მიწოდების შეფერხება, ზარალი განიცადა სახალხო მეურნეობამ და თუ ჩადენილი ქმედობა არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას,— დამნაშავენი დაჯარიმდებიან ადმინისტრაციული წესით შემდეგი ოდენობით: მოქალაქენი — 25 მანეთამდე და თანამდებობის პირნი — 50 მანეთამდე.

2. იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხს, რომლებმაც დაუშვეს ამ ბრძანებულებით გათვალისწინებული დარღვევა, განიხილავენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული კომისიები. კომისიების მიერ ელექტროქსელების დაზიანების შესახებ საქმეთა განხილვის საფუძველს წარმოადგენს აქტი, რომელიც შედგენილია ელექტროქსელის გამგებელი ორგანიზაციის საამისოდ რწმუნებული თანამდებობის პირის მიერ.

3. ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს დამნაშავეს დადგენილი წესით მატერიალური ზარალის ანაზღაურებისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1973 წლის 29 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 74 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 471-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ

„სამოქალაქო საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის წევრებისათვის სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 13 მარტის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 471-ე მუხლის პირველ ნაწილს სიტყვა „საზღაური“-ს შემდეგ დაემატოს სიტყვები: „თუ სსრ კავშირის კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1973 წლის 29 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 75 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 332-ე მუხლში შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება: მეოთხე პუნქტს სიტყვების „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებებზე და“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

თბილისი, 1973 წლის 29 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 76 საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულებაში („საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“ 1960 წ. № 18, მუხ. 181; 1965 წ. № 28, მუხ. 578; 1967 წ. № 6, მუხ. 349; 1970 წ. № 10, მუხ. 153) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-16 მუხლის მეორე ნაწილში და 64-ე მუხლში სიტყვები: საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის“ შეიცვალოს სიტყვებით: „საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციის მინისტრების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების უფროსის“.

2. 62-ე მუხლში სიტყვები: „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლეს სასამართლლოებს და სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლოს“ შეიცვალოს სიტყვებით: „საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების უფროსს“.

3. 71-ე მუხლში სიტყვები: „საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს თავმჯომარეების წარდგენით“, შეიცვალოს სიტყვებით: „საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის მინისტრების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის იუსტიციის განყოფილების უფროსის წარდგენით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 29 მაისი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 77 „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს სსრ 1938 წლის 10 ივლისის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„სსრ კავშირში მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატთა სტატუსის შესახებ“ სსრ კავშირის 1972 წლის 20 სექტემბრის კანონის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

1. „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს სსრ 1938 წლის 10 ივლისის კანონის მე-2 და მე-3 მუხლები („საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1938 წ., № 1; 1967 წ. № 3, მუხ. 264) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიების სხდომების დროს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბ-

ჭოს კომისიების დავალებათა შესასრულებლად, აგრეთვე დეპუტატის უფლე-ბამოსილებათა განსახორციელებლად საარჩევნო ოლქში გამგზავრების დროის განმავლობაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები თავისუფლდებიან საწარმოო ან სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისაგან და მათ ენახებათ საშუალო ხელფასი მუდმივ სამუშაო ადგილას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიების სხდომების დროს, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დადგენილ სხვა შემთხვევებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ხარჯების ასანაზღაურებლად დეპუტატებს ეძლევათ დღეში შვიდი მანეთი და 50 კაპიკი.

3. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს უფლება აქვთ უფასოდ იმგზავრონ რკინიგზით, საავტომობილო და წყალსავალი ტრანსპორტით, მიმოსვლის საჰაერო შიდა გზებით და ყველა სახის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა)".

ეს ბრძანებულება დასამტკიცებლად წარედგინოს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 29 მაისი

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**78** **„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების წევრებისათვის პრეზიდიუმის სხდომებსა და კომისიების მუშაობაში მონაწილეობის მიღებისათვის დღიურების გაცემის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1938 წლის 16 ნოემბრის დადგენილების ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის სადეპუტატო მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით ხარჯების ანაზღაურების შესახებ" საქართველოს სსრ 1938 წლის 10 ივლისის კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 29 მაისის ბრძანებულების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების წევრებისათვის პრეზიდიუმის სხდომებსა და კომისიების მუშაობაში მონაწილეობის მიღებისათვის დღიურების გაცემის შესახებ“ 1938 წლის 16 ნოემბრის დადგენილება.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1973 წლის 29 მაისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 79 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის მოხსენებითი ბარათის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის მოხსენებითი ბარათი რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მშენებლობისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის შესახებ განსახილველად და სათანადო ზომების მისაღებად გაეგზავნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1973 წლის 29 მაისი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 80 გორის რაიონის ტყვიავის და მეჯვრისხევის სასოფლო საბჭოების აღმასკომებთან არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დებულების მეორე მუხლის შესაბამისად გორის რაიონის ტყვიავის და მეჯვრისხევის სასოფლო საბჭოების აღმასკომებთან შეიქმნას, ორგორც გამონაკლისი, არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.**

თბილისი, 1973 წლის 29 მაისი.

ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 81 სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესებისა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაწესდეს, რომ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცება, თუ იგი ჩადენილია პირველად, გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას — პატიმრობას ვადით ათიდან თხუთმეტ დღემდე ან გამასწორებელ სამუშაოებს ვადით ერთიდან ორ თვემდე, ხელფასიდან ოცი პროცენტის დაქვითვით ან ჯარიმას ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე ანდა საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებას მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურებით.

2. წარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია მასალებს წვრილმანი გატაცების შესახებ, გადაცდომის ჩადენიდან არაუგვიანეს სამი დღისა, გადასცემს შინაგან საქმეთა ორგანოებს, რომლებიც ამავე ვადაში განიხილავენ მიღებულ ან მათივე ინიციატივით მომზადებულ მასალებს, რასაც გზავნიან, გადაცდომის ხასიათისა და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით, სახალხო სასამართლოში — დამრღვევის ადმინისტრაციული წესით პასუხისგებაში მისაცემად, ან ამხანაგურ სასამართლოში — მის მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების გამოსაყენებლად.

3. სახალხო მოსამართლე მასალებს წვრილმანი გატაცების შესახებ განიხილავს ერთპიროვნულად, არა უგვიანეს სამი დღისა სასამართლოში მასალების მიღების შემდეგ, წვრილმანი გატაცების ჩამდენი პირის თანდასწრებით და, როცა საჭიროა, მოწმეთა გამოწვევით.

სახალხო მოსამართლის დადგენილება ადმინისტრაციული ღონისძიების გამოყენების შესახებ საბოლოოა, გასაჩივრებას არ ექვემდებარება და დაუყოვნებლივ მოჰყავთ სისრულეში.

4. გაითვალისწინებს რა დამრღვევის პიროვნებას და ჩადენილი გადაცდომის ხასიათს, სახალხო მოსამართლეს უფლება აქვს მისი ადმინისტრაციული წესით პასუხისგებაში მიცემის ნაცვლად, მასალები განსახილველად გაუგზავნოს ამხანაგურ სასამართლოს საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების გამოსაყენებლად.

5. ამხანაგური სასამართლო ვალდებულია დამრღვევის მიმართ გამოყენებული საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიების შესახებ აცნობოს სახალხო მოსამართლეს ან იმ შინაგან საქმეთა ორგანოს, რომელმაც გამოგზავნა მასალები წვრილმანი გატაცების შესახებ, ათი დღის ვადაში.

6. წვრილმანი გატაცებისათვის დაპატიმრებული პირები პატიმრობას იხდიან შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ განსაზღვრულ ადგილებში. დაპატიმრებულთ გადახდებათ კვების და შენახვის ღირებულება; პატიმრობაში ყოფნის დროს მათ არ ეძლევათ ხელფასი მუდმივ სამუშაო ადგილზე.

დაპატიმრებულთ შრომას აუნაზღაურებლად იყენებენ ფიზიკურ სამუშაოზე. წვრილმანი გატაცებისათვის დაპატიმრებულ პირთა შრომითი გამოყენების ორგანიზაცია ეკისრება შესაბამის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

7. ის პირნი, რომლებსაც წვრილმანი გატაცებისათვის მიესაჯათ გამასწორებელი სამუშაოები, ადმინისტრაციულ სასჯელს იხდიან, სახალხო მოსამართლის დადგენილების შესაბამისად, მუდმივ სამუშაო ადგილას ან იმ ადგილებში, რომლებსაც განსაზღვრავენ გამასწორებელ სამუშაოთა აღსრულების განმგებელი ორგანოები, მაგრამ დამრღვევის მუდმივ საცხოვრებელ რაიონში.

თუ დამრღვევმა თავი აარიდა გამასწორებელ სამუშაოთა მოხდას, ადმინისტრაციული ზემოქმედების ეს ღონისძიება სახალხო მოსამართლის დადგენილებით შეიძლება შეიცვალოს პატიმრობით ვადით ათიდან თხუთმეტ დღემდე.

8. წვრილმანი გატაცებისათვის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში შეიძლება მიცემულ იქნენ ის პირნი, რომლებსაც გადაცდომის ჩადენამდე შეუსრულდათ თექვსმეტი წელი.

თუ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმან გატაცებას პირველად ჩაიდენენ თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე ასაკის პირნი, მასალები მათ შესახებ განსახილველად გადაეცემა მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიებს.

9. თუ დაპატიმრებულმა თავი აარიდა პატიმრობის მოხდას ან ბოროტად დაარღვია დაწესებული რეჟიმი, საპატიმრო ადგილის ადმინისტრაციის ან მილიციის ორგანოს უფროსის წარდგინებით სახალხო მოსამართლეს შეუძლია დამრღვევს გაუგრძელოს პატიმრობაში ყოფნის ვადა, ამასთან პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს ოცდაათ დღეს.

10. შეტანილ იქნეს ცვლილებანი საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 95-ე მუხლში და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 95.** სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცება

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცება ჩადენილი ქურდობის, მითვისების, გაფლანგვის, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ან თაღლითობის გზით იმ პირის მიერ, რომლის მიმართ წინათ გამოყენებული იყო ადმინისტრაციული ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება წვრილმანი გატაცებისათვის, ან ასეთი ღონისძიება არ ყოფილა გამოყენებული, მაგრამ წვრილმანი გატაცება მას ჩადენილი აქვს არაერთხელ, აგრეთვე ჩადენილი იმ პირის მიერ, რომლის მიმართ საქმის გარემოებათა მიხედვით ვერ იქნება გამოყენებული საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიება, —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით ან ჯარიმით ას მანეთამდე.

იგივე ქმედობა, ჩადენილი განმეორებით ან იმ პირის მიერ, რომელმაც წინათ ჩაიდინა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ან მოქალაქეთა პირადი ქონების გატაცება, გათვალისწინებული ამ კოდექსის 78-ე, 91-94-ე, 96-ე, $96^1$-ე, 150-153-ე მუხლებით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე“.

11. საქართველოს სსრ ამხანაგური სასამართლოების დებულებაში. რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 10 ნოემბრის ბრძანებულებით („საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1961 წ. № 32, მუხ, 478; 1962 წ. № 11, მუხ. 159; 1964 წ. № 4, მუხ. 79; 1965 წ. № 16, მუხ. 341), შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

ა) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პირველად ჩადენილი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცება, წვრილმანი ხულიგნობა, წვრილმანი სპეკულაცია. აგრეთვე მოქალაქეთა პირად საკუთრებაში მყოფი მცირედ ღირებული საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნების პირველად ჩადენილი ქურდობა, იმ შემთხვევაში, როცა დამნაშავე და დაზარალებული ერთი კოლექტივის წევრები არიან.

**შენიშვნა:** ამ პუნქტის მესამე ნაწილში ჩამოთვლილ საქმეებს ამხანაგურ სასამართლოებში გადაგზავნიან მილიციის პროკურატურის ორგანოები ან სასამართლო. როცა დამრღვევის სამუშაო ან საცხოვრებელ ადგილზე ამხანაგური სასამართლო არ არის, აგრეთვე თუ დამრღვევის პიროვნების შესახებ მონაცემები და საქმის გარემოებანი მოწმობენ, რომ ამხანაგურ სასამართლოში მისი განხილვა მიზანშეწონილია, საქმეს კანონით დადგენილი წესით განიხილავს რაიონის, ქალაქის სახალხო სასამართლო. ამხანაგურ სასამართლოში არ განიხილავენ იმ პირთა საქმეს, რომლებიც ამხანაგური სასამართლოს მიერ ერთხელ უკვე იყვნენ გასამართლებული წვრილმანი გატაცებისათვის“.

ბ) მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „წვრილმანი გატაცების განმეორების შემთხვევაში კი — 50 მანეთამდე“.

12. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის მატერიალური პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 28 მაისის ბრძანებულების პირველი მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტები და მე-2 მუხლის „ა“ პუნქტი („საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“, 1965 წ. № 16, მუხ. 341).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი 1973 წლის 29 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 82 საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის მიენიჭოთ **საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდება:**

1. ხუტა ვასილის ძე **ახალაიას** — გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქტორს.
2. რუთა (თამარ) ივანეს ასულ **ბერიძეს** — გაზეთ „ქუთაისის“ განყოფილების გამგეს.
3. ილია მოსეს ძე **ბრინერს** — გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ პასუხისმგებელ მდივანს.
4. ალექსანდრე ვასილის ძე **ზურაშვილს** — გაზეთ „კომუნისტის“ განყოფილების გამგეს.
5. გიორგი დავითის ძე **პაპიაშვილს** — ჟურნალისტს.
6. სამუელ ზალმანის ძე **პორტნოის** — გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ განყოფილების გამგეს.
7. გიორგი შიოს ძე **ყურაშვილს** — გაზეთ „ქუთაისის“ პასუხისმგებელ მდივანს.
8. მიხეილ იაკობის ძე **შვარცმანს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს უფროს რედაქტორს.
9. რიურიკ ივანეს ძე **ფალავანდიშვილს** — გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორის მოადგილეს.
10. ვლადიმერ ივანეს ძე **ჭიაურელს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს დირექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქვაჩაძე.

12.196

თბილისი, 1973 წლის 4 მაისი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 83 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ამიერკავკასიის რკინიგზის დაარსების 100 წლისთავთან დაკავშირებით, რკინიგზის ტრანსპორტზე ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკისა:**

1. ოთარ ეფრემის ძე **აბშილავას** — სოხუმის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეს.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რ. საჯარო ბიბლიო...

2. მიხეილ ალექსის ძე **ადამიას** — რკინიგზის სამტრედიის განყოფილების შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროს ინჟინერს.

3. ისაია იაკობის ძე **ალავერდოვს** — სადგურ თბილისი-სამგზავროს ფერწერის საამქროს უფროს ოსტატს.

4. პავლე გიორგის ძე **არევაძეს** — თბილისის სალოკომოტივო დეპოს უფროსის მოადგილეს.

5. გრანტ ტიგრანის ძე **ბაგდატიევს** — რკინიგზის სამმართველოს ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების უფროსის მოადგილეს.

6. აბრამ დიმიტრის ძე **ბაისონაშვილს** — თბილისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანის თანაშემწეს.

7. დავით პეტრეს ძე **ბაკურაძეს** — ხაშურის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეს.

8. გრიგოლ იაგორის ძე **ბარამიძეს** — საგზაო ელექტროტექნიკური ლაბორატორიის ელექტრომექანიკოსს.

9. ბრონისლავ პეტრეს ძე **ბარანოვსკის** — თბილისის მექანიზებული დისტანციის დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების გრავერს.

10. რობინზონ სოლომონის ძე **ბარჯაძეს** — სადგურ თბილისი-საკვანძოს მეისრეს.

11. ვლადიმერ ივანეს ძე **ბატკუაშვილს** — თბილისის სალოკომოტივო დეპოს ელექტრომონტიორს.

12. ვალერიან იასონის ძე **ბახტაძეს**— სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეს.

13. ზინაიდა ნესტორის ასულ **ბერიძეს** — სადგურ ბათუმის ვაგზლის უფროსის მორიგე თანაშემწეს.

14. კონსტანტინე ალექსანდრეს ძე **ბერიძეს** — თბილისის სალოკომოტივო დეპოს ინსტრუქტორ-მემანქანეს.

15. გრგიოლ შალვას ძე **ბელელაძეს** — სადგურ ქუთაისი-1 მწონავს.

16. ზურაბ ვასილის ძე **ბლუაშვილს** — ხაშურის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეს.

17. ნოდარ ეფრემის ძე **ბოგვერაძეს** — რკინიგზის სავაგონო მეურნეობის სამსახურის უფროს ინჟინერს.

18. გრიგოლ ვასილის ძე **ბრეგვაძეს** — ხაშურის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეს.

19. გრიგოლ ალექსის ძე **ბურნაძეს** — ხაშურის სავაგონო დეპოს ცვლის ოსტატს.

20. ალექსანდრე სიმონის ძე **გაგნიძეს** — გორის შპალსაჟღენთი ქარხნის მტვირთავს.

21. ჯემალ სერგოს ძე **გაჩეჩილაძეს** — № 25 სალიანდაგო სამანქანო სადგურის მთავარ მექანიკოსს.

22. გრიგოლ ნიკოლოზის ძე **გელაშვილს** — ლოკომოტივების დაბრუნების ბორჯომის პუნქტის უფროსს.

23. ილია მიხეილის ძე **გელდიაშვილს** — ნავთლუღის სალიანდაგო დისტანციის გზის ოსტატს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24. დიმიტრი ნიკოლოზის ძე **გერმანაშვილს** — ხაშურის სალოკომოტივო დეპოს ინსტრუქტორ-მემანქანეს.

25. სერგო პლატონის ძე **გიორგაძეს** — რკინიგზის საგეგმო-ეკონომიური განყოფილების უფროს ინჟინერს.

26. ვიქტორ მეთოდეს ძე **გირენკოს** — რკინიგზის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროს ინჟინერს.

27. შალვა გაბრიელის ძე **გოდერძიშვილს** — რკინიგზის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის თბილისის ავტობაზის მძღოლს.

28. მიხეილ ნესტორის ძე **გოცირიძეს** — ოჩამჩირის სალიანდაგო დისტანციის უფროს მონტიორს.

29. ნიკოლოზ პეტრეს ძე **გუდაძეს** — ხაშურის სალიანდაგო დისტანციის უფროსის თანაშემწეს.

30. ივანე კონსტანტინეს ძე **დავიდოვს** — რკინიგზის სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების უფროსს.

31. კონსტანტინე პავლეს ძე **დანაჩევს** — რკინიგზის სამოქალაქო ნაგებობათა სამსახურის საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსს.

32. ვართან ავეტისის ძე **დარახჩევს** — რკინიგზის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი მატერიალური საწყობის უფროსს.

33. რომან ალექსანდრეს ძე **დარჟანიას** — გუდაუთის დისტანციის საკონტაქტო ქსელის უფროსს.

34. თამარ ავეტის ასულ **დარჩინიანს** — საპროექტო-საძიებო ინსტიტუტ „ჟელდორპროექტის“ უფროს ტექნიკოსს.

35. მამია სიმონის ძე **დიდიძეს** — სადგურ სამტრედიის ტექნიკური კანტორის უფროსს.

36. ლუბოვ ნიკოლოზის ასულ **დიმჩენკოს** — რკინიგზის სალოკომოტივო მეურნეობის სამსახურის ტექნიკოსს.

37. კარლო ალექსანდრეს ძე **დუდუჩავას** — სამტრედიის განყოფილების მატარებლის დისპეტჩერს.

38. ალექსანდრე ერასტის ძე **დუნდუას** — თბილისის სალოკომოტივო დეპოს მორიგეს.

39. რევაზ კალისტრატეს ძე **ელიაშვილს** — სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეს.

40. ირაკლი შალვას ძე **ვარძელაშვილს** — № 189 სალიანდაგო სამანქანო სადგურის ხუროს.

41. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე **ვლადიმიროვს** — რკინიგზის კადრების განყოფილების ინჟინერს.

42. ვალერიან არჩილის ძე **ზარნაძეს** — თელავის სადგურის უფროსს.

43. ირაკლი ვასილის ძე **თინაშვილს** — თბილისის სავაგონო დეპოს ვაგონების მსინჯავს.

44. დიმიტრი გიორგის ძე **თოფურიას** — რკინიგზის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის საგზაო სახელოსნოს უფროსს.

45. სერგო ალექსის ძე **თუშურაშვილს** — სადგურ თბილისი-სამგზავროს უფროსის თანაშემწეს.

46. სევერიან დიომიდეს ძე **იმედაშვილს** — სუფსის სადგურის უფროსს.

47. ბიჭიკო არქიპოს ძე **კალანდაძეს** — მცხეთის სადგურის უფროსს.

48. არფენია სამსონის ასულ **კარაპეტიანს** — საპროექტო-საძიებო ინსტიტუტ „ჟელდორპროექტის" განყოფილების უფროსს.

49. ვიქტორ მიხეილის ძე **კარჟანოვს** — რკინიგზის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის თბილისის ავტობაზის მძღოლს.

50. თენგიზ ფიდოს ძე **კახაბრიშვილს** — თბილისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეს.

51. ჯუმბერ ვიქტორის ძე **კახნიაშვილს** — სოხუმის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეს.

52. ალექსანდრე სიმონის ძე **კაჭარავას** — სამოქალაქო ნაგებობათა სამტრედიის დისტანციის მშენებელ ოსტატს.

53. ალექსი ემელიანეს ძე **კონდრატიუკს** — რკინიგზის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის თბილისის ავტობაზის მძღოლს.

54. ტატიანა ივანეს ასულ **ლეზინას** — თბილისის რკინიგზის მექანიზებული თვლის ფაბრიკის საამქროს უფროსს.

55. გრიგოლ ალექსანდრეს ძე **ლეკვეიშვილს** — სამტრედიის სალიანდაგო დისტანციის ხიდის ოსტატს.

56. ოთარ კონსტანტინეს ძე **ლიკლიკაძეს** — თბილისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეს.

57. თენგიზ თევდორეს ძე **ლომიძეს** — ხაშურის სალოკომოტივო დეპოს მემანქანის თანაშემწეს.

58. ალექსანდრე აბრამის ძე **მაისურაძეს** — რკინიგზის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის თბილისის ავტობაზის მძღოლს.

59. პროკოფი პავლეს ძე **მანჯგალაძეს** — სამტრედიის სავაგონო დეპოს ხუროს.

60. სურენ აღაჯანის ძე **მელქუმოვს** — რკინიგზის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის ინჟინერს.

61. გარეგინ არუთინის ძე **მკრტიჩიანს** — თბილისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეს.

62. ვალერიან დომენტის ძე **მოდებაძეს** — სადახლოს სადგურის უფროსს.

63. გიორგი პეტრეს ძე **მოზგოვოის** — სოხუმის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეს.

64. ვალერიან ბართლომეს ძე **მუხაშავრიას** — ქუთაისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეს.

65. ალექსანდრე იაკობის ძე **ნადარეიშვილს** —ბათუმის სავაგონო დეპოს ოსტატს.

66. იასონ დიმიტრის ძე **ნემსაძეს** — ხაშურის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

67. გიორგი კონსტანტინეს ძე **ნინიკაშვილს** — თბილისის სავაგონო დეპოს ზეინკალს.

68. ალექსი ვასილის ძე **რასჩუკოვს** — თბილისის მექანიზებული დისტანციის დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების მეამწეს.

69. გიორგი თევდორეს ძე **რევაზიშვილს** — ხაშურის სალოკომოტივო დეპოს მჭედელს.

70. ჯანსუღ ვლადიმერის ძე **სალაღაიას** — ფოთის სადგურის მატარებლების შემდგენელს.

71. ბესარიონ გრიგოლის ძე **საყვარელიძეს** — ზესტაფონის სალიანდაგო დისტანციის გზის ოსტატს.

72. ევგენია ნიკოლოზის ასულ **სემიანიშინას** — რკინიგზის თბილისის მექანიზებული თოვლის ფაბრიკის საამქროს უფროსის მოადგილეს.

73. შალვა ალექსანდრეს ძე **სიმონიას** — რკინიგზის თბილისის განყოფილების უბნის კომერციულ რევიზორს.

74. შოთა სევასტის ძე **სუქნიძეს** — ჭიათურის სადგურის დისპეტჩერს.

75. ჯანგირ ჰუსეინ ოღლი **ტენეშევს** — რკინიგზის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის თბილისის ავტობაზის მძღოლს.

76. ანტონ სილოვანეს ძე **ტყაბლაძეს** — ქუთაისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეს.

77. იოსებ იონას ძე **უგრეხელიძეს** — რკინიგზის სამეცნიერო-ტექნიკური პროპაგანდისა და ინფორმაციის სახლის ინჟინერს.

78. დავით ივანეს ძე **ფერაძეს** — ხაშურის ენერგომომარაგების უბნის მონტიორს.

79. გრიგოლ სარდიონის ძე **ფრანგიშვილს** — სამტრედიის სალიანდაგო დისტანციის ბრიგადირს.

80. რომან ივანეს ძე **ქარუხნიშვილს** — ხაშურის სავაგონო დეპოს ხუროს.

81. ვარდენ იოსების ძე **ქობულიას** — სოხუმის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეს.

82. ვლადიმერ აქვსენტის ძე **ქორქიას** — პენსიონერს.

83. ნოდარ ივანეს ძე **ღვალაძეს** — ხაშურის დისტანციის საკონტაქტო ქსელის ელექტრომონტიორს.

84. პავლე ალექსანდრეს ძე **ღონღაძეს** — ხაშურის სალიანდაგო დისტანციის ბრიგადირს.

85. ზაურ ილარიონის ძე **ჩეხოევს** — თბილისის ენერგომომარაგების უბნის მონტიორს.

86. ვლადიმერ ილიას ძე **ჩიკვაიძეს** — თბილისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეს.

87. გერმანე ნესტორის ძე **ჩიტიაშვილს** — თბილისის სალოკომოტივო დეპოს უფროს ოსტატს.

88. ალექსანდრე აკაკის ძე **ცომაიას** — № 40 რელსშემდუღებელი მატარებლის ოსტატს.

89. ივანე მიხეილის ძე **წულაიას** — სამტრედიის განყოფილების მატარებლის დისპეტჩერს.

№ 5
ეროვნული
ბიბლიოთეკა

90. აკაკი პარმენის ძე **წულუკიძეს** — რკინიგზის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის თბილისის ავტობაზის მძღოლს.

91. ვლადიმერ ბართლომეს ძე **ხარაბაძეს** — სადგურ ქუთაისი-II მატარებლის შემდგენელს.

92. გიორგი მიხეილის ძე **ხარჩენკოს** — თბილისის სალოკომოტივო დეპოს მემანქანეს.

93. ივანე მიხეილის ძე **ხაჩიძეს** — ბორჯომის სალიანდაგო დისტანციის უფროსის თანაშემწეს.

94. ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე **ხუსკივაძეს** — ზესტაფონის სადგურის სიგნალისტს.

95. ვასილ მოსეს ძე **ჯანეზაშვილს** — სადგურ თბილისი-სახარისხებელი მატარებლის შემდგენელს.

96. ვალერიან ირაკლის ძე **ჭანტურიას** — სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს ბრიგადირს.

97. ტრისტან კონსტანტინეს ძე **ჯიბლაძეს** — სამტრედიის ენერგომომარაგების უბნის ელექტრომონტიორს.

98. იბრაგიმ ჩიფსოს ძე **ჯინჯოლიას** — სოხუმის სალიანდაგო დისტანციის სახელოსნოების უფროსს.

99. ამირან არსენის ძე **ჯიჯელავას** — სადგურ სოხუმის ლიანდაგის მორიგეს.

100. გალაქტიონ სიმონის ძე **ჯორბენაძეს** — შორაპნის სადგურის უფროსს.

**საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრისა:**

1. სერგო აკოპის ძე **აივაზოვს** — თბილისის სამგზავრო სადგურის ვაგონების ტექნიკური გასინჯვის პუნქტის უფროსს.

2. ვლადიმერ არშაკის ძე **ანანოვს** — თბილისის სახარისხებელი სადგურის მთავარ ინჟინერს.

3. გრიგოლ ესტატეს ძე **ახალბედაშვილს** — № 189 სალიანდაგო მანქანის სადგურის უფროსს.

4. დავით ილარიონის ძე **ბალანჩივაძეს** — რკინიგზის სასწავლებელთა განყოფილების უფროსს.

5. ლევან ივანეს ძე **ბარამიძეს** — საპროექტო-საძიებო ინსტიტუტ „ჟელდორპროექტის“ განყოფილების უფროსს.

6. ელეონორა მიხეილის ასულ **ბალდავაძე-ჭავჭანიძეს** — თბილისის სამგზავრო სადგურის უფროს მწორმავ ინჟინერს.

7. ნინო ირაკლის ასულ **ბერძენიშვილს** — რკინიგზის საგეგმო-ეკონომიური განყოფილების უფროს ინჟინერს.

8. მიხეილ ალექსის ძე **გევორქოვს** — რკინიგზის სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების უფროსის მოადგილეს.

9. მიხეილ ისაკის ძე **გზირიშვილს** — მოძრაობის განყოფილების უფროსს — რკინიგზის თბილისის განყოფილების უფროსის მოადგილეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. პარმენ ლუკას ძე **გოცირიძეს** — რკინიგზის წყალმომარაგების განყოფილების უფროსის მოადგილეს.

11. მორდეხ დავითის ძე **დანიელოვს** — სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის რკინიგზის სახლის უფროს ინჟინერს.

12. შოთა ამბროსის ძე **თითბერიძეს** — საქართველოს მინისტრთა საბჭოს ყოფილ უფროს რეფერენტს ტრანსპორტის დარგში.

13. ვალენტინა ვასილის ასულ **იაკუნინას** — გზისმშენტრესტის № 2 ტონელ-ხიდის რაზმის უფროს ინჟინერს.

14. სერგი ანატოლის ძე **კადომცევს** — რკინიგზის მეორე სამსახურის უფროსს.

15. ირაკლი იოსების ძე **კაპანაძეს** — გზისმშენტრესტის ხაშურის უბნის უფროსს.

16. მელანია იოსების ასულ **კევლიშვილს** — რკინიგზის სალიანდაგო სამსახურის უფროს ინჟინერს.

17. ნიკოლოზ გიორგის ძე **ლაზარაშვილს** — რკინიგზის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილეს.

18. გიორგი იოსების ძე **ლობჟანიძეს** — რკინიგზის თბილისის განყოფილების სატვირთო განყოფილების უფროსს.

19. გალინა გაბრიელის ასულ **ლუთიძეს** — რკინიგზის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროს ინჟინერს.

20. ქრისტეფორე ალექსანდრეს ძე **მამაცაშვილს** — თბილისის სალიანდაგო დისტანციის უფროსის მოადგილეს.

21. აბრამ ბორისის ძე **მანევიჩს** — რკინიგზის ტექნიკური განყოფილების უფროს ინჟინერს.

22. მიხეილ ვასილის ძე **მაჩაბელს** — № 40 რელსშემდუღებელი მატარებლის მთავარ ინჟინერს.

23. ალექსანდრე ბესარიონის ძე **მუქერიას** — ცხაკაიას სადგურის უფროსს.

24. კირილე გაბრიელის ძე **ნოზაძეს** — ხაშურის სალიანდაგო დისტანციის უფროსის მოადგილეს.

25. თევდორე ანტონის ძე **პატარიძეს** — ხაშურის სალიანდაგო დისტანციის უფროსს.

26. ზაქარია გაბრიელის ძე **საათაშვილს** — საპროექტო-საძიებო ინსტიტუტ „ჟელდორპროექტის“ ჯგუფის ხელმძღვანელს.

27. იონა სერგოს ძე **სიხარულიძეს** — რკინიგზის წყალმომარაგების განყოფილების უფროსს.

28. როზა მარტინის ასულ **სკანდაროვას** — საპროექტო-საძიებო ინსტიტუტ „ჟელდორპროექტის“ ჯგუფის ხელმძღვანელს.

29. ავთანდილ ბესარიონის ძე **ფარქოსაძეს** — გზისმშენტრესტის თბილისის უბნის სამუშაოების მთავარ მწარმოებელს.

30. ოთარ სტეფანეს ძე **ფოცხორაიას** — ქუთაისის სალოკომოტივო დეპოს უფროსს.

№6 ეროვნული ბიბლიოთეკა

31. არჩევან გიორგის ძე **ქამხაძეს** — რკინიგზის ტექნიკური განყოფილების უფროსის მოადგილეს.

32. რაჟდენ ბესარიონის ძე **ქვირიას** — რკინიგზის სალოკომოტივო მეურნეობის სამსახურის საგზაო დინამომეტრიული ვაგონის უფროსს.

33. გერმანე ტრიფონის ძე **ქოიავას** — რკინიგზის საფინანსო სამსახურის უფროსის მოადგილეს.

34. აშოთ არტემის ძე **შაბანოვს** — საპროექტო-საძიებო ინსტიტუტ „ელდორპროექტის" მთავარ კონსტრუქტორს.

35. აკაკი ეფისტინეს ძე **ცინცაძეს** — თბილისის საკვანძო სადგურის პარტორგანიზაციის მდივანს.

36. ევტიხი დომენტის ძე **წილოსანს** — რკინიგზის სამტრედიის განყოფილების სამგზავრო განყოფილების უფროსს.

37. ვახტანგ აბრამის ძე **ხადურს** — რკინიგზის თბილისის განყოფილების რაციონალიზაციისა და გამოგონების ბიუროს უფროსს.

38. ალექსანდე ვასილის ძე **ხიზანიშვილს** — თბილისის სალიანდაგო დისტანციის მთავარ ინჟინერს.

39. გივი ივანეს ძე **ჭანტურიას** — რკინიგზის ტვირთზიდვის სამსახურის განყოფილების გამგეს.

40. ლიუდმილა ანდრიას ასულ **ჭანტურიას** — თბილისის სამგზავრო სადგურის ვაგზლის უფროსის თანაშემწეს საქალქო სადგურის ხაზით.

41. გრიგოლ კონსტანტინეს ძე **ჭოლოკავას** — თბილისის სავაგონო დეპოს უფროსის მოადგილეს.

42. ალექსანდრე ანტონის ძე **ჯიბლაძეს** — საპროექტო-საძიებო ინსტიტუტ „ელდორპროექტის" განყოფილების უფროსს.

43. თამარ ზაქარიას ასულ **ჯინჭარაძეს** — რკინიგზის სამოქალაქო ნაგებობათა სამსახურის უფროს ინჟინერს.

**საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმისა:**

1. მარგარიტა კონსტანტინეს ასულ **ბენდუქიძეს** — თბილისის რკინიგზის ბავშვთა საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.

2. ჯულიეტა ივანეს ასულ **ბურკაძეს** — თბილისის საგზაო კლინიკური საავადმყოფოს ლაბორატორიის გამგეს.

3. გრიგოლ თევდორეს ძე **გრიგოლავას** — ქუთაისის რკინიგზის საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.

4. ნინო ივანეს ასულ **დოლმაზაშვილს** — თბილისის საგზაო კლინიკური საავადმყოფოს ექიმს.

5. თინა პროკოფის ასულ **ერისთავს** — თბილისის საბავშვო საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების მთავარ ექიმს.

6. კონსტანტინე გიორგის ძე **კაპანაძეს** — რკინიგზის კანისა და ვენეროლოგიური დისპანსერის განყოფილების გამგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ოთარ სამსონის ძე **კოხრეიძეს** — თბილისის რკინიგზის № 2 პოლიკლინიკის მთავარ ექიმს.

8. რევაზ ალექსანდრეს ძე **კუკულაძეს** — ბათუმის საავადმყოფო-კლინიკური გაერთიანების ექიმს.

9. ელენე დიომიდეს ასულ **ლეჟავას** — თბილისის საგზაო კლინიკური საავადმყოფოს ექიმს.

10. ლილი მათეს ასულ **მალცევას** — რკინიგზის თბილისის ცენტრალური პოლიკლინიკის კაბინეტის გამგეს.

11. თამარ ვლადიმერის ასულ **მამულაშვილს** — თბილისის რკინიგზის № 2 პოლიკლინიკის უბნის ექიმს.

12. ლეილა გერმანეს ასულ **მარშანიას** — რკინიგზის ცენტრალური სტომატოლოგიური პოლიკლინიკის განყოფილების გამგეს.

13. თენგიზ პავლეს ძე **მენაბდეს** — გზის კლინიკური ტუბერკულოზის საწინააღმდეგო დისპანსერის მთავარი ექიმის მოადგილეს.

14. ელენე დავითის ასულ **მირიანაშვილს** — თბილისის საგზაო კლინიკური საავადმყოფოს ექიმს.

15. ეთერ ლევანის ასულ **მიროტაძეს** — თბილისის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების ცენტრალური პოლიკლინიკის ექიმს.

16. სოფიო ივანეს ასულ **მიხნევიჩს** — თბილისის რკინიგზის ცენტრალური პოლიკლინიკის ექიმს.

17. ვლადიმერ ფრიდრიხის ძე **მჭედლიშვილს** — თბილისის რკინიგზის ცენტრალური პოლიკლინიკის კაბინეტის გამგეს.

18. მიხეილ სიმონის ძე **ნამიჩეიშვილს** — სამტრედიის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების მთავარ ექიმს.

19. მერი ალექსანდრეს ასულ **ნიკოლაიშვილს** — თბილისის რკინიგზის ცენტრალური პოლიკლინიკის კაბინეტის გამგეს.

20. ნინო ალექსანდრეს ასულ **ჟორჟოლაძეს** — თბილისის რკინიგზის ცენტრალური პოლიკლინიკის ექიმს.

21. ეთერ ვლადიმერის ასულ **რუხაძეს** — თბილისის საგზაო საავადმყოფო პოლიკლინიკის გაერთიანების ექიმს.

22. ქეთევან ლევანის ასულ **ქარუმიძეს** — თბილისის საგზაო საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების მთავარი ექიმის მოადგილეს.

23. სუსანა მიხეილის ასულ **შამლიკაშვილს** — თბილისის საგზაო კლინიკური საავადმყოფოს ექიმს.

24. დომნა სელივანის ასულ **შანიძეს** — თბილისის საგზაო კლინიკური საავადმყოფოს ექიმს.

25. ლიუბოვ ნესტორის ასულ **შიშინაშვილს** — თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის № 4 პოლიკლინიკის ექიმს.

26. ანგელინა სერაფიონის ასულ **ჩანტლაძეს** — თბილისის საგზაო საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების ექიმს.

27. ოთარ მიხეილის ძე **ჩაჩავას** — თბილისის საგზაო კლინიკური საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.

28. ოლღა შალვას ასულ **ჩიკვაიძეს** — ხაშურის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების განყოფილების გამგეს.

29. ქეთევან ლუკას ასულ **ჩხეიძეს** — თბილისის საგზაო კლინიკური საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.

30. ეთერ ვასილის ასულ **ჯამბაზიშვილს** — ქუთაისის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების ექიმს.

31. თამარ ნოეს ასულ **ჯავახაძეს** — თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის № 4 პოლიკლინიკის ექიმს.

### საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლისა:

1. როსტომ ნიკოლოზის ძე **აბაშიძეს** — თბილისის რკინიგზის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

2. დავით ივანეს ძე **აფრიდონიძეს** — ქუთაისის რკინიგზის № 11 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

3. თინა ერმილეს ასულ **გაჩეჩილაძეს** — ქუთაისის რკინიგზის № 23 საბავშვო ბაღის აღმზრდელს.

4. ვენერა გიორგის ასულ **დათვიაშვილს** — თბილისის რკინიგზის № 3 საბავშვო ბაღის აღმზრდელს.

5. ქსენია ვიქტორის ასულ **დოლიძეს** — სამტრედიის რკინიგზის № 14 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

6. ბაბილინა ბესარიონის ასულ **ვაშაკიძეს** — ფოთის რკინიგზის № 26 საბავშვო ბაღის გამგეს.

7. ანტონინა მაქსიმეს ასულ **კალანდარიშვილს** — ცხაკაიას რკინიგზის № 1 სკოლა-ინტერნატის მასწავლებელს.

8. ელენე პარმენის ასულ **კორკოტოვას** — ქუთაისის რკინიგზის № 11 საშუალო სკოლის მასწავლებელს.

9. თამარ დავითის ასულ **ლორთქიფანიძეს** — თბილისის რკინიგზის № 5 საშუალო საღამოს სკოლის მასწავლებელს.

